

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა - ქ. ჭიათურაში, შპს „მგტ“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) შესახებ პროექტი

დაგეგმილის საქმიანობის დასახელება: მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (წარმადობის გაზრდა);

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „მგტ“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ჭიათურის მუნიციპალიტეტი.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- 2021 წლის 22 ივნისი 13:00 საათი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განცხადებასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **2021 წლის 8 ივლისის ჩათვლით**, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge